საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 90/2

2026 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

დრამის და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში **გამოცხადდეს კონკურსი** შემდეგი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

დრამის ფაკულტეტი

თეატრალური ხელოვნების მიმართულება (მსახიობის ოსტატობის განხრით)

ასოცირებული პროფესორის 2 ს. ე

კინომცოდნეობის მიმართულება (მსოფლიო კინოს ისტორია)

ასოცირებული პროფესორის 1 ს. ე

2. დრამისა და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის არჩევნების გამოცხადების კომისიის პასუხისმგებელ მდივნად დაინიშნოს საორგანიზაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი **თამარ ბასიაშვილი**.

3. კონკურსი გამოცხადდეს 2026 წლის 14 მაისიდან.

4. კანდიდატების რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2026 წლის 15 ივნისს და გაგრძელდეს 2026 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

5. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს საბუთების მიღების დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

6. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ უნივერსიტეტის web.გვერდი: http://tafu.edu.ge/ და http://jobs.ge/

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კადრების და კანცელარიის სამსახურს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საფუძველი: 11.05.2026 წლის აკადემიური საბჭოს სხდომის

№ 9 დადგენილება

გიორგი შალუტაშვილი

რ ე ქ ტ ო რ ი